პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 214 (3698)

1968 წ. 30 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.



27 ოქტომბერს მეხიკოში საზეიმოდ დაიხურა XIX ოლიმპიური თამაშები, რომელიც ორი კვირის მანძილზე მთელი მსოფლიოს სპორტის მოყვარულთა ყურადღების საგანი იყო. ასპარეზობის საზეიმო დახურვის დღეს ოლიმპიელებმა კიდევ ერთხელ გაიარეს სტადიონზე თავიანთი ქვეყნების დროშებით და მასპინძლებს დაემშვიდობნენ.

• • •

სურათზე: მოდის საბჭოთა მედროშე ლეონიდ ჟაბოტინსკი.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა და ვ. შანდრინისა (საქდესი).









ოლიმპიადისადმი მიძღვნილი მასალები იხ. მე-2 გვ.

## მეშუშეებმა ყველას აჯობეს

ბორჯომის რაიონის სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის იუბილეს მიეძღვნა, თვენახევარს გაგრძელდა. პროგრამაში შედიოდა ექვსი სახეობა, ტურნირში კი „განთიადის" 6, „კოლმეურნისა" და „სპარტაკის" 4-4 კოლექტივი მონაწილეობდა. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანა შუშის ქარხნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ. ამ საწარმოს ვაჟებმა იმარჯვეს ჭადრაკში, ტყვიის სროლაში, ფრენბურთში, II ადგილი მოიპოვეს ფრენბურთში, III — კალათბურთში. ქალები პირველნი იყვნენ სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში. საბოლოოდ, შუშის ქარხნის წარმომადგენლებმა 22 საჯარიმო ქულა მოაგროვეს და კოლექტივთა შორის საერთო I ადგილი დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდა ახალდაბის სატყეო ფაბრიკა — 34 ქულა. III იყო ტყვიბისის კოლმეურნეობის გუნდი —37 ქულა.

თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის სპორტსმენებმა. ვაჟებმა, მართალია, მაგიდის ჩოგბურთსა და კალათბურთში იმარჯვეს, მაგრამ სხვა სახეობებში IV ადგილს ვერ აცდნენ. ამიტომ კოლექტივს საბოლოოდაც IV ადგილი ხვდა.

კარგად გამოვიდნენ ბაკურიანის, ჩითახევჰესის, ზანავისა და ქვაბისხევის სპორტსმენები. ბაკურიანელებმა, მაგალითად, ფეხბურთში ყველა შეხვედრა მოიგეს და 14 ქულით პირველობა დაისაკუთრეს.

სპორტულ საზოგადოებებს შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „განთიადის" ნაკრები (11 საჯარიმო ქულა). II ადგილზეა „კოლმეურნე" (20), III — „სპარტაკი" (38).

სპარტაკიადას თავი აარიდეს ავტოსატრანსპორტო კონტორების, კურორტვაჭრობის (ორივე — „სპარტაკი"), წაღვერის, ციხისჯვრის, დვირის (ყველა — „კოლმეურნე"), ანდეზიტის წარმოების, პირველი სამშენებლო სამმართველოს (ორივე — „განთიადი") ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

სულ სპარტაკიადაში 365 კაცი ასპარეზობდა. 61 მონაწილემ შეასრულა II თანრიგის, ხოლო 125 კაცმა III თანრიგის ნორმატივი.

ა. გელაშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.
ბორჯომი.

## საიუბილეოდ...

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად ივალდებულა ზეიმის დღეებისთვის გადაჭარბებით შეესრულებინა თანრიგოსანი სპორტსმენებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა. პირობა განაღდებულია: მოვამზადეთ 11 სპორტის ოსტატი (გეგმა — 11), 68 პირველთანრიგოსნის ნაცვლად აღვზარდეთ 105 სპორტსმენი, 65 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 95, 120 მესამეთანრიგოსნის მაგიერ — 225. მოზარდთა თანრიგის ნორმატივი სამმა სპორტსმენმა შეასრულა, თუმცა ამ თანრიგისთვის გეგმა საერთოდ არ გვქონია. მომზადებულია, აგრეთვე, 230 მსაჯი სხვადასხვა სახეობაში (გეგმა არც აქ გვქონდა).

ვ. სამსონაძე,
ინსტიტუტის რექტორი.

## მოსწავლეთა ძღვენი

საქართველოს განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოსა და კომკავშირის კომიტეტის თაოსნობით ამ დღეებში ჩატარდა ამ სკოლის I სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ორ ასაკობრივ ჯგუფად გამართულ სპარტაკიადაში 350-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. მოეწყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

ყველას აჯობეს VII[4] და X[2] კლასების გუნდებმა, რომლებმაც პირველობა სამ სახეობაში დაისაკუთრეს. გამარჯვებულებს გადაეცათ კომკავშირის იუბილეს აღსანიშნავად დაწესებული გარდამავალი თასები.

სპარტაკიადაში თავი ისახელეს მოჭადრაკე გ. ნაზაროვიშვილმა, მძლეოსნებმა გ. ჭყონიამ, ლ. კოკოშვილმა, მაგიდის ჩოგბურთელმა ნ. გვათუამ და საქართველოს მოსწავლე ფრენბურთელ გოგონათა ნაკრების წევრმა ნ. ფილიევამ.

ე. გეგიძე,
ფიზაღზრდის მასწავლებელი.



## ლაშქრობა

თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კოლექტივმა მოაწყო ტურისტული ლაშქრობა, რომელიც კომკავშირის 50 წლის იუბილეს მიეძღვნა. ლაშქრობის მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი — კოჯორი — კოწახურის ხევი — თრიალეთის მთები — მანგლისი — თბილისი. ლაშქრობა, რომელშიც მონაწილეობდა სასწავლებლის 150-მდე პირველკურსელი, მოეწყო კომკავშირის კომიტეტისა (მდივანი დ. წერეთელი) და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს (ფიზაღზრდის მასწავლებელი პ. მეტრეველი) ინიციატივით.

გ. ღოღებჯაშვილი.

• • •

სურათზე: ლაშქრობის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

კვირას თბილისში, მეტეხის მიდამოებში გაიმართა კლდეზე მცოცავთა შეჯიბრება, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობდნენ უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, საფინანსო ტექნიკუმისა და „განთიადის" წარმომადგენლები.

მტკვარზე გაიმართა შეჯიბრება ბაიდარებით ნიჩბოსნობაში.

• • •

სურათებზე: ამ ორი შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

MEXICO 68 MEXICO 68 MEXICO 68 MEXICO 68

# ოლიმპიადის ცეცხლი

## ცხენოსნობა

**დიდი ოლიმპიური პრიზი გახედნაში (პირადი შეჯიბრება)**

1. ი. კიზიმოვი (სსრ კავშირი) — 1572 ქულა
2. ი. ნეკერმანი (გფრ) — 1546
3. რ. კლიმკე (გფრ) — 1537
4. ი. კალიტა (სსრ კავშირი) — 1519
5. ხ. კეპლერი (გდრ) — 1475
6. ე. პეტუშკოვა (სსრ კავშირი) — 1471

## კალათბურთი

1. აშშ
2. იუგოსლავია
3. სსრ კავშირი
4. ბრაზილია
5. მექსიკა
6. პოლონეთი

## ცურვა

**200 მ გულაღმა (ვაჟები)**

1. რ. მათესი (გდრ) — 2.09,6 (ოლიმპიური რეკორდი)
2. მ. ივეი (აშშ) — 2.10,6
3. ჯ. ჰორსლი (აშშ) — 2.10,9
4. გ. ჰოლი (აშშ) — 2.12,6
5. ს. ესტერევა (ესპანეთი) — 2.12,9
6. ლ. დობროსკოკინი (სსრ კავშირი) — 2.15,4

**200 მ გულაღმა (ქალები)**

1. პ. უოთსონი (აშშ) — 2.24,8 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ე. ტანერი (კანადა) — 2.27,4
3. კ. ჰოლი (აშშ) — 2.28,9
4. ლ. უოთსონი (ავსტრალია) — 2.29,5
5. უ. ბარელი (ინგლისი) — 2.32,3
6. ზ. გასპარაკი (იუგოსლავია) — 2.33,5

**400 მ კომპლექსური (ქალები)**

1. კ. კოლბი (აშშ) — 5.08,5 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ლ. ვიდალი (აშშ) — 5.22,2
3. ს. შტაინბახი (გდრ) — 5.25,3
4. ს. პედერსენი (აშშ) — 5.25,8
5. შ. რეტკლიფი (ინგლისი) — 5.30,2
6. მ. ზაიდელი (გდრ) — 5.32,0

**1500 მ თავისუფალი სტილით**

1. მ. ბარტონი (აშშ) — 16.38,9 (ოლიმპიური რეკორდი)
2. ჯ. კინზელა (აშშ) — 16.57,3
3. გ. ბრუკი (ავსტრალია) — 17.04,7
4. გ. უაიტი (ავსტრალია) — 17.08,0
5. რ. ჰატონი (კანადა) — 17.15,6
6. გ. ეჩევარია (მექსიკა) — 17.36,4

**ესტაფეტა 4×100 მ თავისუფალი სტილით (ქალები)**

1. აშშ (ჯ. ბარკმენი, რ. გუსტავსონი, ს. პედერსენი, ჯ. მენი) — 4.02,5 (ოლიმპიური რეკორდი)
2. გდრ — 4.05,7 (ევროპის რეკორდი)
3. კანადა — 4.07,2
4. ავსტრალია — 4.08,7
5. უნგრეთი — 4.11,0
6. იაპონია 4.13,6

**კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ (ვაჟები)**

1. აშშ (ჩ. ჰიკოკსი, დ. მაკენზი, დ. რასელი, კ. უოლში) — 3.54,9 (ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი)
2. გდრ — 3.57,5
3. სსრ კავშირი (ი. გრომაკი, ვ. კოსინსკი, ვ. ნემშილოვი, ლ. ილიჩოვი) — 4.00,7
4. ავსტრალია — 4.00,8
5. იაპონია — 4.01,8
6. გფრ — 4.05,4

## ფარიკაობა

**დაშნა (გუნდური შეჯიბრება)**

1. უნგრეთი (გ. ფენვეში, ზ. ნემერე, პ. შმიტი, დ. კულჩარი)
2. სსრ კავშირი (ა. ნიკანჩიკოვი, ი. სმოლიაკოვი, გ. კრისი, ი. ვიტებსკი)
3. პოლონეთი
4. გფრ
5. გდრ
6. იტალია

## ნიჩბოსნობა

**ერთადგილიანი ბაიდარა (ქალები)**

1. ლ. პინაევა (სსრ კავშირი) — 2.11,09
2. რ. ბრაიერი (გფრ) — 2.12,71
3. ვ. დუმიტრუ (რუმინეთი) — 2.13,22
4. მ. სმოუკი (აშშ) — 2.14,68
5. ი. ვავროვა (ჩეხოსლოვაკია) — 2.14,78
6. ა. ნიუსნერი (გდრ) — 2.16,02

**ორადგილიანი ბაიდარა (ქალები)**

1. გფრ (ა.-მ. ციმერმანი და რ. ესერი) — 1.56,44
2. უნგრეთი — 1.58,60
3. სსრ კავშირი (ლ. პინაევა და ა. სერედინა) — 1.58,61
4. რუმინეთი — 1.59,17
5. გდრ — 2.00,18
6. ჰოლანდია — 2.02,02

**ერთადგილიანი ბაიდარა (ვაჟები)**

1. მ. ხეში (უნგრეთი) — 4.02,63
2. ა. შაპორენკო (სსრ კავშირი) — 4.03,58
3. ე. ჰანსენი (დანია) — 4.04,39
4. ვ. უუშკევიჩი (პოლონეთი) — 4.06,36
5. რ. პეტერსონი (შვეცია) — 4.07,86
6. ვ. მარა (ჩეხოსლოვაკია) — 4.09,35

**ორადგილიანი ბაიდარა (ვაჟები)**

1. სსრ კავშირი (ა. შაპორენკო, ვ. მოროზოვი) — 3.37,54
2. უნგრეთი — 3.38,44
3. ავსტრია — 3.40,71
4. ჰოლანდია — 3.41,36
5. შვეცია — 3.41,99
6. რუმინეთი — 3.45,18

**ოთხადგილიანი ბაიდარა (ვაჟები)**

1. ნორვეგია (ს. ამუნდსენი, ე. სობიუ, ტ. ბერგერი, ი. იუჰანსენი) — 3.14,38
2. რუმინეთი — 3.14,81
3. უნგრეთი — 3.15,0
4. შვეცია — 3.16,68
5. ფინეთი — 3.17,28
6. გდრ — 3.18,08

**ორადგილიანი კანოე**

1. რუმინეთი (ი. პატზაიკინი და ს. კოვალიოვი) — 4.07,18
2. უნგრეთი — 4.08,77
3. სსრ კავშირი (ნ. პროკუპეცი, მ. ზამოტინი) — 4.11,3
4. მექსიკა — 4.15,24
5. შვეცია — 4.16,60
6. გდრ — 4.26,36

**ერთადგილიანი კანოე**

1. ტ. ტატაი (უნგრეთი) — 4.36,14
2. დ. ლევე (გფრ) — 4.38,31
3. ვ. გალკოვი (სსრ კავშირი) — 4.40,42
4. ი. ჩტვრტეჩკა (ჩეხოსლოვაკია) — 4.40,74
5. ბ. ლუბენოვი (ბულგარეთი) — 4.43,43
6. უ. ემანუელსონი (შვეცია) — 4.45,80

## წყალში ხტომა

**კოშკი (ვაჟები)**

1. კ. დიბიასი (იტალია) — 164,18
2. ა. გაკსიოლა (მექსიკა) — 154,49
3. ე. იანგი (აშშ) — 153,93
4. კ. რასელი (აშშ) — 152,84
5. ხ. რობინსონი (მექსიკა) — 143,62
6. ლ. მათესი (გდრ) — 141,77



საბჭოთა ფრენბურთელების წარმატება მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში სავსებით კანონზომიერია. ქალებმა ეს წოდება მოიხვეჭეს ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონებთან — იაპონელებთან მძაფრ ბრძოლაში, ხოლო ვაჟებმა ამ მაღალი წოდებისთვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელთა გუნდი დაამარცხეს.



სურათებზე: მარცხნივ — საბჭოთა ფრენბურთელ ქალთა გუნდი; მარჯვნივ — საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ ფრენბურთელ ვაჟთა გადამწყვეტი შეხვედრის მომენტი.

## ეტლებით რბოლა?

მეხიკო, 28 ოქტომბერი (საკდესი). შეიძლება მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მაყურებლებმა იხილონ რბოლა... ეტლებით. როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გრაფ დე ბომონის ეს წინადადება კარგად მიიღეს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტებმა.

„ეს იქნება დიდებული სანახაობაც და ელინური ოლიმპიზმის სათავეებთან დაბრუნებაც“, — განაცხადა დე ბომონმა და დასძინა: „ჩვენ მთელი წელი გვაქვს იმისთვის, რომ დავამუშაოთ ამ შეჯიბრების წესები, შევისწავლოთ ეტლების მოდელები, დავამზადოთ ეტლები და ა. შ. ცხენები (თითო ეტლისთვის ორ-ორი ან ოთხ-ოთხი) შეიძლება საფრანგეთმა მოგვცეს“.

გასაგებია, რომ ეს იქნება საჩვენებელი რბოლა და არა ოლიმპიური პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება.

## ოლიმპიური მოზაიკა

### „ახლა კი მწვრთნელად ვიმუშავებ“

„მეხიკოს ოლიმპიადა უკანასკნელი იყო ჩემს სპორტულ კარიერაში“, — უთხრა ჟურნალისტებს სახელგანთქმულმა კუბელმა სპრინტერმა ენრიკე ფიგეროლამ.

ფიგეროლას ბევრი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებია. ოთხი წლის წინ, ტოკიოს ოლიმპიადაში, მან ვერცხლის მედალი მოიპოვა უმოკლეს სპრინტერულ დისტანციაზე მეორე ადგილზე გასვლისთვის. ფიგეროლა ღირსეული შედეგით ტოვებს სარბიელსაც: კუბელთა გუნდმა, სადაც ფიგეროლას მთავარი როლი ეკუთვნოდა, ვერცხლის მედლები დაისაკუთრა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში.

„ახლა კი მწვრთნელად ვიმუშავებ, — თქვა დასასრულ ფიგეროლამ. — ჩვენში ბევრი ცოცხალი, მარდი ყმაწვილია. მე სიამოვნებით ვამეცადინებ მათ“.

### სცენარისტი, რეჟისორი, პროდიუსერი

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე გადაიღეს ექვსსერიიანი დოკუმენტური ფილმი. სცენარის ავტორი, რეჟისორი და პროდიუსერია ერთი კაცი — მექსიკელი რობერტო ისააკი. სხვათა შორის, მან თავის ფილმზე სამუშაოდ მიიწვია... 180 ოპერატორი.

### „ჩვენს ქალაქში ყველა მსროლელია“

სასტენდო სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა იტალიელმა რომანო გარანიანიმ. გამოირკვა, რომ სპორტის ამ სახეობაში გარანიანი სულ ორი წელია ვარჯიშობს. როცა ჰკითხეს, ასე სწრაფად როგორ მიაღწიეთ პროგრესსო, მან უპასუხა: მე რეჯო-ემილიადან ვარ, ჩვენს ქალაქში კი ყველა დაბადებითვე მსროლელია. ასე რომ, ზუსტად სროლაში დაოსტატებისთვის დიდი დრო არ დამჭირვებია“.

### ორმოცი წლის მანძილზე

60 წლის იაპონელ ფილატელისტს შ. სუგავარას 20 ათასი ოლიმპიური საფოსტო ნიშანი აქვს. კოლექციის შედგენა მან ორმოცი წლის წინათ დაიწყო. მაშინ სუგავარა შაიბიან ჰოკეის თამაშობდა ტოკიოს სტუდენტურ გუნდში (შემდეგ იგი იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს და ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობდა).

იაპონიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სუგავარას კოლექცია მეხიკოს გამოფენაზე გაგზავნა. აქ იაპონელმა ფილატელისტმა მედალი მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩერჩეტობით ესენსატიოდ




თბილისში გრძელდება სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები როგორც ვაჟთა, ისე ქალთა წყვილებში. ვაჟთა მერვედფინალურ შეჯიბრებაში თბილისელთა 2 წყვილი გამოდიოდა. მესამე წყვილში თბილისელ ა. მეტრეველთან ერთად ტრადიციისამებრ შევიდა ბაქოელი ს. ლიხაჩოვი. მერვედფინალი სამივე წყვილმა მშვიდობიანად განვლო: გ. ახალაძემ და ა. ვერულავამ მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს ვ. ანისიმოვი და ვ. გოლუბიატნიკოვი — 11:13, 6:2, 10:8. თბილისელთა მეორე დუეტმა — ბ. სენჩუროვმა და ო. გიგაიამ შედარებით იოლად სძლიეს ს. ევინგსა და პ. რანდმერს — 6:3, 6:3. ასევე იოლი იყო მეტრეველისა და ლიხაჩოვის გზა მეოთხედფინალისკენ: მათ დაამარცხეს ნ. ფილევი და ე. დესიატნიჩენკო — 6:3, 6:1.

მეოთხედფინალში თბილისელთა ორივე წყვილი გამოეთიშა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას: ახალაძე და ვერულავა დამარცხდნენ თ. ლეიუსთან და ვ. ეგოროვთან — 2:6, 2:6, 2:6, ხოლო სენჩუროვი და გიგაია — ა. ივანოვთან და ვ. პალმანთან — 3:6, 5:7, 3:6. მეტრეველმა და ლიხაჩოვმა კვლავ გამარჯვება იზეიმეს. მათ დაამარცხეს ბ. ბუზმაკოვი და ვ. მინაიჩევი — 6:3, 6:2, 6:4. ნახევარფინალში მეტრეველი და ლისაჩოვი შეხვდებიან ივანოვსა და პალმანს.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მერვედფინალი. თ. ლეიუსი, ვ. ეგოროვი — რ. სივოხინი, ი. ჩობა 8:6, 6:2, ვ. პესჩანკო, ს. გუსევი — ხ. სეპი, მ. მურსი 12:14, 9:7, 6:4, პ. ლამპი, ა. იუხველტი — ა. ეპიკი, რ. პარმასი 6:2, 4:6, 6:2, ა. ივანოვი, ვ. პალმანი — ე. ლანგე, ნ. ნეკრასოვი 6:8, 6:3, 6:3, ბ. ბუზმაკოვი, ვ. მინაიჩევი — მ. დიბცევი, ვ. რუბანოვი 6:2, 7:5; მეოთხედფინალი. პ. ლამპი, ა. იუხველტი — ვ. პესჩანკო, ს. გუსევი 6:1, 7:5, 6:3.

ქალთა წყვილების მეოთხედფინალურ შეხვედრებში გამარჯვებულებს დამარცხებულებმა ჯეროვანი მეტოქეობა ვერ გაუწიეს. გაგაცნობთ შედეგებს: ო. მოროზოვა, თ. ჩალკო — მ. კული, რ. აბჟანდაძე 6:3, 6:2, რ. ისლანოვა, ა. ივანოვა (თბილისი) — თ. ფარსადანოვა, ლ. მგალობლიშვილი 6:3, 6:,2, გ. ბაკშეევა, მ. ჩუვირინა — ს. ასპისოვა, ე. სლეპჩენკო 6:3, 6:2.

შერეულ წყვილებში გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები. ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა მერვედფინალში რ. ისლანოვასა და ვ. პალმანს პირველი ხელი იოლად მოუგეს — 6:2, მაგრამ მეორე პარტიაში მეტოქეები „გაჯირვეულდნენ“. ისინი თამამად ებრძოდნენ უიმბლდონის წლევანდელი გათამაშების ფინალისტებს. თუმცა, საბოლოოდ მაინც ფავორიტებმა იმარჯვეს — 7:5.

დანარჩენი მერვედფინალური შეხვედრების შედეგები ასეთია: ვ. ზინკევიჩი, ე. ლანგე — ე. სინიცინა, ე. დუბროვი 7:9, 6:2, 6:1, ე. იზოპაიტისი, ბ. ლუნინი — ტ. და ი. სიმსონები 7:5, 3:6, 6:3, თ. ჩალკო, ვ. რუბანოვი — ტ. კივი, ა. იუხველტი 8:10, 6:3, 6:4, რ. აბჟანდაძე, რ. სივოხინი — ნ. პროკოფიევა, გ. კაპლანი 6:2, 6:2, მ. კული, ა. ივანოვი — ა. ივანოვა, ვ. ვასილიევი 6:1, 6:2, ლ. მგალობლიშვილი, ნ. აკსანოვი — თ. ფარსადანოვა, ვ. ასათიანი 7:5, 6:0, გ. ბაკშეევა, თ. ლეიუსი — ა. ერემეევა, შ. ტარპიშჩევი 6:2, 6:4.

დღეს „დინამოს“ კორტებზე გაიმართება ერთეულთა და შერეულ წყვილთა მეოთხედფინალური შეხვედრები. ა. მეტრეველის მეტოქე იქნება ლენინგრადელი ა. ივანოვი.

მ. ძამთარია.

* * *





სურათებზე: შეჯიბრების მომენტები. მარცხნივ — გ. ბაკშეევა და თ. ლეიუსი; მარჯვნივ — მზარდი ალმაათელი ჩოგბურთელი ლ. კარპოვა.

ფოტო ბ. გიგაურისა.

# „ირმის თასი“ — თბილისელებს

ოდესაში გაიმართა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ამ ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მსროლელები, რომლებმაც მოიპოვეს ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის მიერ დაწესებული გარდამავალი „ირმის თასი“. თასისთვის იბრძოდა 19 გუნდი, მაგრამ ძირითად მეტოქეებად ითვლებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის, გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარებისა და ჩვენი ოლქის კოლექტივები. გუნდი თასს მოიპოვებდა იმ შემთხვევაში, თუ გუნდურ პირველ ადგილთან ერთად ამავე გუნდის წევრი ჩემპიონობას დაისაკუთრებდა ერთ-ერთი ვარჯიშის პირად ჩათვლაში.

სპორტის ოსტატი ი. კონდაკოვი (გერმანიაში მყოფი საბჭოთა ჯარები) ორგზის ჩემპიონი გახდა „გაქცეულ ირემზე“ სროლაში. ამ გამარჯვებამ გუნდს თასის მოპოვების რეალური შანსი მისცა, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში იგი დამარცხდა. სამაგიეროდ, თავი ისახელა თბილისელ სპორტსმენთა ოთხეულმა (ლ. სიდამონიძე, ა. გაზოვი, ნ. ხორშევი და ვ. სამოილენკო). გაზოვმა 50 ერთმაგ გასროლაში I ადგილი დაიკავა (231 ქულა), 25 ორმაგ გასროლაში — III (219 ქულა), ჯამში კი 450 აჩვენა. პირველი და მესამე შედეგები ჩვენი ოლქის ახალი რეკორდებია. აღსანიშნავია, რომ 50 ერთმაგ გასროლაში ოლქის უმაღლესი მიღწევა ეკუთვნოდა საპატიო სპორტის ოსტატს ე. მიტინიანს და 226 ქულას უდრიდა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა პირველთანრიგოსანმა რიგითმა ვ. სამოილენკომ, რომელმაც „გაქცეულ ირემზე“ იუნიორთა შეჯიბრებაში სამი პირველი ადგილი დაიკავა და სამივე ვარჯიშში სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. მან 50 ერთმაგ გასროლაში აჩვენა 220, 25 ორმაგში — 213, ხოლო ჯამში — 433 ქულა.

რ. კაცობაშვილი.

# ყოჩაღ, ზუგდიდელებო!

ქობულეთში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს ქალები ასპარეზობდნენ 15 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. I-II ადგილები ერთნაირი დროით (26.57) გაიყვეს სპორტის ოსტატმა ვ. პოდოლსკაიამ (თბილისი) და პირველთანრიგოსანმა ქ. კეხბამ (რუსთავი). III ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ლ. ხრავინა (თბილისი) — 27.08.

ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. საქართველოს ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. სიდანოვი — 34.39. II ადგილზე გავიდა თბილისის 117-ე სკოლის მოსწავლე ო. ბელთაძე, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მწვრთნელს გ. ესაიანს. III ადგილზეა სპორტის ოსტატი ვ. ქეხბა (რუსთავი) — 35.26,5.

მეორე დღეს გაიმართა ქალთა გუნდური შეჯიბრება 20 კილომეტრზე. სტარტის აღება ძლივს მოასწრეს სპორტსმენებმა, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ამან, რა თქმა უნდა, შედეგებზეც იმოქმედა. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 34.22. II ადგილზე გავიდნენ აჭარის სპორტსმენები — 36.41, III — რუსთაველები — 37.40.

50 კილომეტრზე ვაჟთა გუნდურ რბოლაში თბილისელ სპორტის ოსტატებს ვ. სიდანოვს, ა. კასეცკის, შ. დაიაურსა და ო. ბელთაძეს ტოლი არ ჰყავდათ და დამსახურებულად გაიმარჯვეს კიდეც. მათი შედეგია 1:13.54. II ადგილზე გავიდნენ რუსთაველი ველომრბოლელები — 1:14.0, III — აჭარის წარმომადგენლები — 1:18.11.

შეჯიბრების ბოლო, მესამე დღეს ქალებმა 25 კმ-ზე ჯგუფური რბოლის სტარტი აიღეს. ერთი კილომეტრის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისელები ვ. პოდოლსკაია, ლ. ხრავინა და რუსთაველი ქ. კეხბა. ამ სამეულმა ტემპს უმატა და საგრძნობლად ჩამოიტოვა დანარჩენები. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა ხრავინამ, რომელიც საქართველოს ჩემპიონი გახდა. II ადგილზეა პოდოლსკაია, III — კეხბა.

ვაჟები ასპარეზობდნენ 100 კმ-ზე ჯგუფურ რბოლაში. 65-ე კილომეტრზე ძირითად ჯგუფს გამოეყო თბილისელი შ. დაიაური, რომელიც, ცუდი ამინდის მიუხედავად, მარტო განაგრძობდა ბრძოლას, როცა ფინიშამდე 25 კმ დარჩა, ძირითად ჯგუფს კიდევ ერთი სპორტსმენი „გაექცა“. ეს ს. გრიშკევიჩი გახლდათ. ფინიშამდე 17 კმ რჩებოდა, რომ დაიაურს საბურავმა უმტყუნა და ველოსიპედისტმა 2 კმ დაშვებული საბურავით იარა. მერე კი ახალი ველოსიპედი მიაშველეს. ამით ისარგებლა გრიშკევიჩმა, დაიაურს წამოეწია და გაუსწრო კიდეც. საქართველოს ჩემპიონობა გრიშკევიჩს ხვდა. II ადგილზეა დაიაური, III — სიდანოვი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა ველოსიპედისტებმა. II-III ადგილები გაიყვეს აჭარისა და რუსთავის გუნდებმა. ქების ღირსნი არიან ზუგდიდელები, რომლებიც ორი გუნდით გამოვიდნენ. ქალაქის გუნდმა IV ადგილი დაიკავა და გაუსწრო ისეთ ძლიერ კოლექტივებს, როგორიც არიან აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

ა. ჭიჭინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქობულეთი.

# ჩამორჩება სადღეისო მოთხოვნებს

ბათუმის სტენდზე ორ დღეს გაგრძელდა რესპუბლიკის ახალგაზრდა მსროლელების პირად-გუნდური პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ 1945 წელში დაბადებულ და უფრო უმცროსი ასაკის სპორტსმენებს.

ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სასტენდო სროლაში რეზერვის მომზადება სადღეისო მოთხოვნებს ჩამორჩება. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ მთლიანად დაკომპლექტებული გუნდი მხოლოდ თბილისმა წარმოადგინა. მრგვალ სტენდზე სროლის სარბიელზე სულ 7 მონაწილე გამოვიდა. ტურნირის ორგანიზატორებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ასპარეზობა საკავშირო ტურნირამდე კი არა, ამ შეჯიბრების შემდეგ გამართეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის კოლექტივმა, რომელმაც ადგილიდან სროლაში 400-დან მხოლოდ 243 ქულა დააგროვა. მეორე პრიზიორები — ბათუმელები მას 4 ქულით ჩამორჩნენ. III ადგილზე გავიდა სოხუმის კოლექტივი.

მრგვალ სტენდზეც თბილისელებმა გაიმარჯვეს. აქ მეორე იყო მახარაძის კოლექტივი.

პირად პირველობაში უძლიერესნი იყვნენ: ადგილიდან სროლაში — თბილისელი ა. ბუკია (100-დან 87 ქულა), მრგვალ სტენდზე — სსრ კავშირის ჩემპიონი პირველ აცდენამდე სროლაში ტ. ძღენტი (თბილისი) — 93 ქულა.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# საერთაშორისო ოსტატის შედეგით

ავჭალის სასროლეთზე დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში.

ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში კარგად გამოვიდა ვ. ბარანოვი (ასკ), რომელმაც 558 ქულა მოაგროვა, ქალაქის ჩემპიონობა და ოსტატობის კანდიდატობა მოიპოვა.

საინტერესოდ წარიმართა რევოლვერ-პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა. მრგვალ სამიზნეებზე სროლაში ლიდერობა ხელთ იგდო ლ. ქაჯაიამ (დოსააფი), რომელმაც 287 ქულა მოაგროვა. სსრ კავშირის წლევანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორი მ. ჟამურაშვილი (დოსააფი) ლიდერთან 1 ქულას აგებდა. უფრო დაძაბული გამოდგა ამ ვარჯიშის მეორე ნახევარი — სილუეტებზე სროლა. ჟამურაშვილმა მდგომარეობა გამოასწორა და გაუსწრო კიდეც ლიდერს, მაგრამ საბოლოოდ ე. კარტაშიანმაც (ასკ) იმდენივე ქულა (580) მოაგროვა, რამდენიც ჟამურაშვილმა. უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი სერია, სადაც კარტაშიანმა იმარჯვა. ქაჯაია საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა.

ქალთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში ქალაქის ჩემპიონი გახდა ო. კუდრიავცევა (ასკ) — 558. მეორე იყო მ. ღვინერია (დოსააფი) — 554, III — 15 წლის ს. ნიკოლენკო („დინამო“) — 534.

„გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგ და 25 ორმაგ გასროლაში ა. გაზოვმა (ასკ) შესაბამისად 229 და 233 ქულა მოაგროვა და I ადგილები დაიკავა. გაზოვის შედეგი „გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგ გასროლაში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ახალი რეკორდია და აღემატება საერთაშორისო ოსტატის ნორმატივს.

არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა დინამოელმა ა. მარუთიანმა — 535.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფ სროლაში ვაჟთა შორის ყველას აჯობა ჟამურაშვილმა — 580 ქულა. ქალებში პირველი იყო ღვინერია — 562.

შვიდდღიანი ასპარეზობის შემდეგ საერთო I ადგილი არმიის სპორტული კლუბის გუნდმა მოიპოვა.

თ. ლეკიშვილი,
სპორტის ოსტატი.

[illegible]

✦ კასპი

საჭიდაო დარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა სოფ. დოესის გუნდმა. II ადგილი ხვდა სოფ. კავთისხევის, ხოლო III — სოფ. ლამისყანის ნაკრებს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ი. მაღლაშვილი, ბ. მონასელიძე, ა. ხუციშვილი, ვ. ღვინიაშვილი, ნ. დავითაშვილი, ქ. ბულაური, ე. გორგაძე, გ. ქამხაძე.

ლ. ელისაბედაშვილი.

# ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები

ლუგანო, 29 ოქტომბერი. XVIII საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის IV ტურში სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრაში მხოლოდ 2 პარტია დამთავრდა: ვ. კორჩნოიმ დაამარცხა ლ. საბო, ხოლო ე. გელერ — ი. ბილეკის პარტია ყაიმით დასრულდა.

ამ ტურის სენსაცია იყო 2 ამერიკელი დიდოსტატის მარცხი ფილიპინელებთან მატჩში. სრულიად უცნობმა ოსტატმა ე. კასტრომ მოუგო რ. ბირნს, ხოლო რ. ნარანიანმა მეორე ამერიკელს — ვ. ლომბარდის. ამ გუნდების შეხვედრის ანგარიშია 2:1 ფილიპინელთა სასარგებლოდ.

დიდ წარმატებას მიაღწია ბულგარეთის გუნდმა რუმინელ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში — 3,5:0,5. სხვა მატჩების შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკია — გდრ 2,5:1,5, დანია — პოლონეთი 1:1 (2), გფრ — იუგოსლავია 1,5:1,5 (1), კანადა — არგენტინა 0,5:0,5 (3).

წინა მატჩებში გადადებული პარტიების დამთავრებისას სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო (3:1) ჩეხოსლოვაკიელებს, ამერიკელებმა — კანადელებს (4:0) და იუგოსლავიელებმა — დანიელებს (3:1).

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ: სსრ კავშირი — 11,5 (2), იუგოსლავია — 10 (1), ბულგარეთი — 9,5, აშშ — 9 (1), გფრ — 8,5 (1).

# საერთაშორისო ტურნირი საქართველოში

2-9 ნოემბერს საქართველოს ქალაქებში — გორში, მახარაძეში, რუსთავსა და თბილისში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში ახალგაზრდული გუნდების მონაწილეობით.

გორში ითამაშებენ სსრ კავშირის, უნგრეთისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. მათი კალენდარი ასეთია: 2 ნოემბერი. სსრ კავშირი — ფინეთი; 4. უნგრეთი — ფინეთი; 6. სსრ კავშირი — უნგრეთი.

მახარაძეში იასპარეზებენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. თამაშები დაგეგმილია ასე: 2. საქართველო — აზერბაიჯანი; 4. საქართველო — გდრ; 6. გდრ — აზერბაიჯანი.

ამ ორ ქვეჯგუფში გამარჯვებულნი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდებიან ერთმანეთს საერთო I ადგილის გამოსარკვევად 9 ნოემბერს. აქვე, ამავე დღეს გაიმართება III ადგილისთვის მებრძოლი გუნდების შეხვედრა, ხოლო ქვეჯგუფებში ბოლო ადგილზე გასულნი ითამაშებენ რუსთავში.

# ჰოკეისტები შეიკრიბებიან სტოკჰოლმში

ჟენევა, 28 ოქტომბერი. 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში „ა“ ჯგუფის გუნდებისთვის გაიმართება სტოკჰოლმში 15-30 მარტს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგის აღმასკომის აქ გამართულმა სხდომამ.

როგორც ხაკდესის კორესპონდენტს განუცხადა შვეციის ჰოკეის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა პ. ვესტერმა, მსოფლიოს ექვსი უძლიერესი გუნდის — სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის, შვეციის, ფინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მატჩი გაიმართება „იუჰანესჰოფის“ სტადიონზე. პირველობისთვის მზადება უკვე დაიწყო. გენერალურმა მდივანმა რწმენა გამოთქვა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი და შვეციის ჰოკეის ფედერაცია შეძლებენ უზრუნველყონ სათანადო პირობები სპორტსმენების, მსაჯებისა და ჟურნალისტების მისაღებად. „ჩვენ აღვუთქვით აღმასკომს, — თქვა ვესტერმა, — რომ ასპარეზობის მონაწილე არც ერთი გუნდი არ განიცდის რაიმე დისკრიმინაციას და ყველაფერს ვიღონებთ შეჯიბრების ჭეშმარიტად სპორტული სულისკვეთებით ჩატარებისთვის“.

აღმასკომზე ასევე დადგინდა, რომ 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში გაიმართება.

როგორც ნავარაუდევი იყო, „ბ“ და „გ“ ჯგუფების გუნდების მსოფლიო პირველობა 1969 წლის გაზაფხულზე გაიმართება იუგოსლავიაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ 8 ქვეყანამ განაცხადა. თუ გუნდების რიცხვი არ გაიზრდება, მაშინ ისინი ერთ — „ბ“ ჯგუფში გაერთიანდებიან.

ამას წინათ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. დიდ წარმატებას მიაღწია „კოლმეურნის“ გუნდის წევრმა ც. ლიპარტელიანმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. ლობჟანიძე), რომელმაც შუბი 51,58 მეტრზე ტყორცნა. ლიპარტელიანმა საქართველოს სპორტსმენ ქალთა შორის ამ სახეობაში პირველმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. მისი მაჩვენებელი 1,61 მეტრით აღემატება ძველ რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც მან შარშან, ოჩამჩირეში დაამყარა.

* * *

სურათზე: ც. ლიპარტელიანი ასპარეზობისას.

ფოტო ო. გელაშვილისა.





# „შევარდენი“

საქსპორტვაჭრობის შექმნამ და ამ ორგანიზაციის ხელში საქართველოს სპორტსაქონლის მაღაზიების თავმოყრამ საგრძნობლად გააუმჯობესა სპორტული ინვენტარითა და ტანსაცმლით რესპუბლიკის მომარაგების საქმე. ამ ორგანიზაციის სავაჭრო დაწესებულებების ქსელი თანდათან ფართოვდება. ახლახან თბილისში (პეკინის ქ. № 11) გაიხსნა კიდევ ერთი მაღაზია, რომელსაც „შევარდენი“ ჰქვია. მაღაზიის კოლექტივს უძღვება წარსულში თბილისის „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე.

მაღაზიას აქვს ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟისა და შეკერილი ტანსაცმლის, აგრეთვე, სპორტინვენტარის სექციები. აქ მუდამაა გასაყიდად ტანვარჯიშული ლეიბები, ხარიხა, ტაიჭი, ძელი, ღერძი, დრეკაბოგი, ბაგირი, სიმაღლეზე სახტომი თამასები, სპორტული და საგზაო(?) ველოსიპედები, მოტოციკლები, ტანვარჯიშული კედელი, ფარიკაობისა და წყალქვეშა სპორტის, ცურვის, სპორტის ზაფხულისა და ზამთრის სახეობების ინვენტარი და ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. აქ ყველაფერია ჭადრაკის მოყვარულთათვის, ტურისტებისათვის, ფოტომოყვარულებისათვის.

მაღაზია ვაჭრობს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. გადარიცხვით საქონლის შეძენა შეუძლიათ არა მარტო თბილისის ორგანიზაციებს, არამედ რესპუბლიკის სხვა რაიონების ფიზკულტურულ კოლექტივებსაც წინასწარი განაცხადის საფუძველზე.

— დიდი რაოდენობის სპორტინვენტარი გადარიცხვით უკვე მივეცით ქუთაისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას, სამგორის საგზაო-სამშენებლო სამმართველოს, ნორიოს მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობას, ლენინგორის საბავშვო ბაღს, ფოთის სუბტროპიკული კულტურების კომპლექსურ საცდელ სადგურს და სხვა ორგანიზაციებს. ამან საშუალება მოგვცა საქონლის რეალიზების ერთი თვის გეგმა თითქმის 200 პროცენტით გადაგვეჭარბებინა, — გვითხრა გ. ანთაძემ.

— სამომავლოდ როგორი გეგმები გაქვთ?

— პროფკავშირთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში ფიზკულტურის კოლექტივებს მეტი მაღალხარისხოვანი სპორტინვენტარი და ტანსაცმელი დასჭირდებათ. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები. ვფიქრობთ, ამ ამოცანას შევასრულებთ, მით უმეტეს, რომ მაღაზიას კარგად ამარაგებენ.

დოდო გელაშვილი.

* * *

სურათზე: სპორტინვენტარის სექციაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მოკლე დისტანციებზე

## 4 ოსტატობის კანდიდატი

სპორტკავშირის დახურულ აუზში გაიმართა თბილისის პირადი პირველობა 100 და 200 მეტრზე ცურვაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მე-11 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ვ. გრიგორაშჩენკომ („შრომითი რეზერვები“) და გ. ბოლქვაძემ („სპარტაკი“) შესაბამისად 59,9 და 1 წუთი აჩვენეს, I და II ადგილები დაიკავეს და პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. გრიგორაშჩენკოს შედეგი საქართველოს ჭაბუკთა ახალი რეკორდიცაა.

ამ ორს არც თბილისის 78-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი პ. ზუბი ჩამორჩა. მან გაიმარჯვა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.15,0) და პირველად შეასრულა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

200 მეტრზე ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღეს ი. კირდიანოვმა („დინამო“) და ვლ. ონუფრიენკომ („შრომითი რეზერვები“). ისინი რიგრიგობით ლიდერობდნენ და საბოლოოდ ერთნაირი შედეგი (2.34,0) მოიპოვეს. I ადგილი კირდიანოვს მიეკუთვნა. მათი მაჩვენებლები I თანრიგის შედეგს სჯობს.

საერთოდ, ამ შეჯიბრებაში ოთხმა აჩვენა ოსტატობის კანდიდატის, ჩვიდმეტმა კი I თანრიგის შედეგი. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გამარჯვებულმა ზ. ლეკიშვილმა (თბილისის განათლების განყოფილება — 2.37,6) და მისმა თანაგუნდელმა გ. თხორმა, რომელმაც 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში II საპრიზო ადგილი დაიკავა (2.17,3), პირველად შეასრულეს I თანრიგის ნორმატივი.

მოგვყავს მხოლოდ გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები: ქალები. თავისუფალი სტილით ცურვა. 100 მ. ლ. ოსიპოვა — 1.10,9, 200 მ. მ. ყულიჯანოვა — 2.39,1, 100 მ ბრასით. ვ. ანიკინა (ყველა — „დინამო“) — 1.30,2, 100 მ ბატერფლაით. ე. ლიბრაძე („სპარტაკი“) — 1.18,8, 100 მ გულაღმა. მ. ყულიჯანოვა — 1.20,4, 200 მ კომპლექსური. ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი“) — 2.46,2. ვაჟები. თავისუფალი სტილით ცურვა. 200 მ. ვიქტორ ონუფრიენკო („შრომითი რეზერვები“) — 2.14,3, 200 მ ბრასით. ა. გურასაშვილი („შრომითი რეზერვები“) — 2.51,0, ბატერფლაი. 100 მ. პ. შეხიკიანი („დინამო“) — 1.07,6, 200 მ. ზ. ზვეროვი („ლოკომოტივი“) — 2.37,6. 100 მ გულაღმა. ვ. სნიმშჩიკოვი („დინამო“) — 1.10,8.

ა. გურასაშვილი.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## გუშინ...

მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ცსკა-მ მიიღო ბაქოს „ნეფტჩი“. მატჩი დამთავრდა ბაქოელთა გამარჯვებით — 2:1.

„ა“ კლასი I ჯგუფი

## რედაქციისგან

ჩვენი მკითხველები ხშირად გვეკითხებიან, აქამდე რატომ არ გამოქვეყნდა ოლიმპიური ლატარიის მოგებათა გათამაშების ცხრილი.

რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა სპორტკავშირის ცენტრალურ საბჭოს, საიდანაც გვაცნობეს, რომ გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ ცხრილს გამოაქვეყნებს ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის პირველ რიცხვებში.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 31 ოქტომბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. 15 წ.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები და ძალოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტს შ. ბუაძეს მამის

დავით მელიტონის ძე ბუაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. ქოტირში (წყალტუბოს რაიონი), 31 ოქტომბერს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 5 უე 05368